# ნასყიდობის ხელშეკრულება N 12

ქ. თბილისი 01 სექტემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ შპს „სპორტ სალერ ცენტრი", მისი დირექტორის ლევან ხარებავას სახით, (შემდგომში - „გამყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „საფეხბურთო კლუბი დურუჯი" მისი დირექტორის გელა ქარენაშვილის სახით (შემდგომში - „მყიდველი") ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება და აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ინვოისით განსაზღვრულ საქონელს (შემდგომში - „ნასყიდობის საგანი").
(CPV-18412000)

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 **გამყიდველი ვალდებულია:**

2.1.1 გადასცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი, რაც გულისხმობს:

ა. ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, არ ადევს ყადაღა, არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით, არ აქვს დაფარული ნაკლი, მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია ნასყიდობის საგნის მიმართ, იგი არ წარმოადგენს თანასაკუთრების საგანს, არავის არ გააჩნია უპირატესი შესყიდვის და სხვა სამართლებრივი უფლებები;

ბ. საქონლის ხარისხი მხარეთა შორის შეთანხმებულია.

2.1.2. მიაწოდოს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ტექნიკური საბუთები ტექნიკური აღწერილობით;

2.1.3. გადასცეს მყიდველს ყველა ის საბუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ადასტურებს ნასყიდობის საგნის უფლებრივ და უნაკლო მდგომარეობას, ამასთან, აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2 **მყიდველი ვალდებულია:**

2.2.1 მიიღოს გამყიდველისგან ნასყიდობის საგანი და ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით;

2.2.2 გადაიხადოს ხელშეკრულების ფასი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით;

2.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულება და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

## 3. ნასყიდობის საგნის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1 ნასყიდობის საგნის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N 21

3.2 ნასყიდობის საგანი მიწოდებული უნდა იქნას განხორციელებული 2016 წლის 30 სექტემბრამდე.

3.3 ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემა დასტურდება მხოლოდ ნასყიდობის საგნის ფაქტიური ჩაბარებით (გადაცემით) მყიდველის პირდაპირ მფლობელობაში და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემთხვევაში;

## 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 400(ოთხასი)ლარი. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

4.2 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს 2016 წლის 30 სექტემბრამდე.

4.3 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით;

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

5.2 იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია, ვალდებულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.3 მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

6.2 მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. დავები

7.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეთა შეთანხმებით, თუ ადგილი ექნება ფორს-მაჟორს (ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემიები, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, და ა.შ.) და ამ მიზეზით მხარე ვერ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების პირობების დარღვევად;

8.2 ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და გამონახოს ვალდებულების შესრულების ალტერნატიული გზები.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებები უწყვეტად გრძელდება 30 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება წერილობითი ურთიერთშეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს დაუბრუნოს მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა მთლიანად.

## 9. დამატებითი დებულებები

9.1 ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს;

9.2 ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;

9.3 ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე ან ჩაბარდა ხელზე;

9.4 ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა;

9.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| გამყიდველი | მყიდველი |
|---|---|
| შპს „სპორტ სალერ ცენტრი“<br>თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N 21<br>ს/კ: 404421345<br>სს თიბისი ბანკი<br>ა/ა: GE27TB7903936080100003<br>ბანკის კოდი: TBCBGE22 | შპს საფეხბურთო კლუბი დურუჯი<br>ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N 1.<br>ს/კ: 441555942<br>ლიბერთი ბანკის ყვარლის ფილიალი<br>ა/ა: GE47LB0113133852348000<br>ბანკის კოდი: LBRTGE22 |

# მიღება- ჩაბარების აქტი N 12

ქ. თბილისი 02 სექტემბერი 2016 წელი

2016 წლის 01 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება N 12 მონაწილე მხარეები:

შპს „სპორტ სალერ ცენტრი“, მისი დირექტორი ლევან ხარებავას სახით შემდგომში „გამყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „საფეხბურთო კლუბი დურუჯი“, მისი დირექტორის გელა ქარენაშვილის სახით შემდგომში „მყიდველი“

ვადასტურებთ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ( გამყიდველის მიერ 2016 წლის 02 სექტემბერს გამოწერილი (ატვირთული) სასაქონლო ზედნადები N0259258042 მიხედვით) მიღების ფაქტს. მხარეები ადასტურებენ, რომ საქონელი სრულად აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს(შეთანხმებული ხარისხისა და არ გააჩნია ნაკლი) და რომ საქონელთან დაკავშირებით არ გააჩნია რაიმე დამატებითი მოთხოვნა.

საქონლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 400.00(ოთხასი) ლარი.

აქტზე ხელმოწერის შემდგომ გამყიდველი თავისუფლდება საქონელთან დაკავშირებული რისკისაგან. აქტის თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მ ხ ა რ ე თ ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი:

| | |
|---|---|
| გამყიდველი: | მყიდველი: |
| შპს „სპორტ სალერ ცენტრი“ -ს | შპს „საფეხბურთო კლუბი დურუჯი“-ს |
| დირექტორი: | დირექტორი: |